ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 257

17 აგვისტო
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №36-40-ის მიმდებარედ არსებული 2346 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.016.048) 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კონდიტერ პროსთვის" (ს/კ 404436598) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №36-40-ის მიმდებარედ არსებული 2346 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.016.048) 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კონდიტერ პროსთვის" (ს/კ 404436598) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 აგვისტოს №18.623.955 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №36-40-ის მიმდებარედ არსებული 2346 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.016.048) 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კონდიტერ პროსთვის" (ს/კ: 404436598) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 6200 (ექვსი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**